ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა
კომისიის გაერთიანებული სხდომის ოქმი №29

25 ივნისი, 2019 წელი
13:00 საათი
(ბიუროს დარბაზი)

ა/წ 25 ივნისს ჩატარდა ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის, სატრანსპორტო საკითხთა კომისიის, ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის და ეკონომიური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიების გაერთიანებული სხდომა. გაერთიანებულ სხდომას ესწრებოდნენ ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები:

1. გიორგი ბირბიჩაძე
2. გიორგი დოხტურიშვილი;
3. ნინო ლაცაბიძე;
4. თამარ ტალიაშვილი
5. ფრიდონ ინჯია;
6. ოთარ გრიგოლია;
7. ვლადიმერ ძნელაძე;

მოწვეული სტუმრები: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი გელა ჩივიაშვილი.

სხდომის დღის წესრიგი:

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა“ და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა“ მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

- „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

წარმოდგენილი პროექტით ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას, საბაგირო გზით „რიყე-ნარიყალა" და საბაგირო გზით „ჭავჭავაძის გამზირი-კუს ტბა" მგზავრთა გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების, აგრეთვე ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-81 დადგენილებაში, კერძოდ, ამ დადგენილების მეორე მუხლის პირველ პუნქტს ემატება შემდეგი შინაარსის „ნ" ქვეპუნქტი: „ნ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის" თანამშრომლებს." (შემდგომში - ცენტრი).

აღნიშნული ცვლილებით, ცენტრის თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით.

ასევე ცვლილება შედის „საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (M3 კატეგორია) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის №6-25 დადგენილებაში, კერძოდ, ამ დადგენილების მე-5 მუხლს ემატება შემდეგი შინაარსის „ზ¹" ქვეპუნქტი: „ზ¹) პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტით დადგენილი კატეგორიის მქონე პირებთან დაკავშირებით - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალურ ცენტრს.".

აღნიშნული ცვლილებითა(ა)იპ „თბილისის გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობისა და კონტროლის მუნიციპალური ცენტრის" (შემდგომში - ცენტრი) თანამშრომლებს საშუალება ეძლევათ, თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებში (ავტობუსები (M3 კატეგორია), მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტი (მეტრო) ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას ისარგებლონ უფასო მგზავრობის უფლებით და ამასთან განისაზღვრება ის სუბიექტი, რომელიც

უზრუნველყოფს ცენტრის თანამშრომლებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებას.

ცვლილების განხორციელება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა დადებითად შეაფასეს წარმოდგენილი ცვლილება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე:

მომხრე: 6
წინააღმდეგი: 0
თავი შეიკავა: 0

კომისიამ დაადგინა

პროექტი განხილული იქნას საკრებულოს უახლოეს სხდომაზე ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ საკითხთა კომისიის უმრავლესობის დადებითი რეკომენდაციით.

ჯანმრთელობის დაცვის და სოციალურ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე — გიორგი ბირბიჩაძე